



**სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი**

20 აგვისტო 2024

ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 129

**ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების
შესახებ**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „პ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N993333, 20.08.2024) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2024 წლის კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად;
2. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში ფონდი) ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის წესი ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს „კრებსითი ინფორმაცია კონკურსის შესახებ“ ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს პროფესიული ბიოგრაფიის (CV) ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს „სამოტივაციო წერილი“-ს ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს „სამეცნიერო ნაშრომები“-ს ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. კონკურსის კოორდინატორად განისაზღვროს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის სპეციალისტი, ქეთევან გორგაძე;
9. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
10. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თიბორაზ რომაიძე

თ. თბილისი

ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- წინამდებარე წესი აწესრიგებს კონკურსში მონაწილე სუბიექტების მიერ ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის (შემდგომში - კონკურსი) ფარგლებში სტიპენდიის გაცემის, კონკურსის გამართვისა და საკონკურსო განაცხადის (შემდგომში - საკონკურსო განაცხადი) განხორციელების მონიტორინგის წესს.
- კონკურსის მიზანია მეცნიერების პოპულარიზაციისათვის ახალგაზრდა მეცნიერთა წახალისება, რომლებიც ეწევიან სამეცნიერო-კვლევით ან აკადემიურ საქმიანობას საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ან ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
- კონკურსი ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში - ფონდი). კონკურსის დაფინანსებისათვის შესაძლებელია, არსებობის შემთხვევაში, გამოყენებული იქნას დაფინანსების სხვა წყარო.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ფონდი** - საჯარო სამართლის იურიდიული პირი შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
- გენერალური დირექტორი** - ფონდის გენერალური დირექტორი, რომლის ფუნქციებში შედის დასაფინანსებლად შერჩეული საკონკურსო განაცხადების დამტკიცება და, საჭიროების შემთხვევაში, საკონკურსო განაცხადებში ცვლილების შეტანის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- საკონკურსო განაცხადი** - დაფინანსების მოპოვების მიზნით, ამ წესით განსაზღვრული პირობების მიხედვით ფონდში წარდგენილი საკონკურსო განაცხადი;
- ახალგაზრდა მეცნიერი** - საქართველოს მოქალაქე, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, ახალგაზრდა მკვლევარი, რომლის აკადემიური ხარისხის მინიჭების დღიდან კონკურსის გამოცხადების დღემდე გასულია არაუმეტეს 7 წელი და რომელიც ეწევა სამეცნიერო-კვლევით ან აკადემიურ საქმიანობას საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ან ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
- შეფასების კრიტერიუმები** - ფონდში წარდგენილი საკონკურსო განაცხადების შესაფასებლად საკონკურსო კომისიისთვის განსაზღვრული, ამ წესით დამტკიცებული სახელმძღვანელო პრინციპები სათანადო ქულების მითითებით;
- დამოუკიდებელი ექსპერტი** - პირი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში აფასებს კონკურსის ფარგლებში წარდგენილ საკონკურსო განაცხადებს;